ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №225238

ნომერი: AR142280

თარიღი : 25.04.2012

გაცემის თარიღი : 21.06.2012

გაცნობის თარიღი : 21.06.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. შპს ,,აისი-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მხეიძე პ/ნ 01017021101
- თბილისი ვ.პეტრიაშვილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ავტომომსახურეობის და სხვა დამხმარე ნაგებობები.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენს მიერ ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურში 19.06.2012 წელს განსახილველად წარმოდგენილი #AR142280 განცხადებისა და არქიტექტურული პროექტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე~ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულებით დადგენილი ლეგალიზების წესის შესაბამისად, ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. შპს ,,აისი-ს მიმდებარე ტერიტორია, #01.13.01.004.065 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობა–ნაგებობების ლეგალიზებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სამსახურის 2012 წლის 27 აპრილის #141283 გადაწყვეტილებით დაგევალათ 10 დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, კერძოდ, სალეგალიზაციო ობიექტების შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, ობიექტების ფოტოსურათები პანორამული ხედებით, გადაღებული შორი და ახლო მანძლიდან, არქ. პროექტის უკეთესი გაფართოების მქონე სრულყოფილი pdf ფაილი, მაღალ ხარისხში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ, ოფიციალური წესით გაცემული თანხმობა, ობიექტების ლეგალიზებასთან დაკავშირებით, 2007 წლის პირველ იანვრამდე ყველა სალეგალიზაციო ობიექტის მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა.

თქვენს მიერ სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი, სამსახურის მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, კერძოდ სალეგალიზაო ობიექტების 2007 წლის პირველ იანვრამდე მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან თქვენი #AR142280 განცახდება და დოკუმენტაცია განსახილველად წარმოდგენილია დაგვიანებით, კერძოდ სამსახურის მიერ განსაზღვრული 10 დღის ვადის გასვლის შემდგომ.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურის 2012 წლის 27 აპრილის #141283 გადაწყვეტილების საფუძველზე თქვენი განცხადება დარჩა განუხილველი.

განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2012 წლის 27 აპრილის #141283 გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემდგომ, სამსახურში განახლდება ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. შპს ,,აისი-ს მიმდებარე ტერიტორია, #01.13.01.004.065 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობა–ნაგებობების ლეგალიზებასთან დაკავშირებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.